

წინასაარჩევნო პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2024 წლის 25 სექტემბრიდან
25 ოქტომბრამდე პერიოდი

TDI

წინასაარჩევნო პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2024 წლის 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე პერიოდი

დოკუმენტი მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ

www.tdi.ge

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 3

ქართული ოცნების პროპაგანდისტული საარჩევნო ბანერები 4

ხელისუფლების საარჩევნო დაპირებები კონსტიტუციაში ეკლესიის განსაკუთრებული როლის ასახვის შესახებ 6

ეკლესიის თემით სპეკულირება ხელისუფლების ანტიდასავლურ და ანტიოპოზიციურ გზავნილებში 8

მართლმადიდებელი ეკლესია და სასულიერო პირები მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში 14

წინასაარჩევნოდ სახელმწიფოს მიერ საპატრიარქოსთვის გადაცემული ქონება 18

მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების პროპაგანდისტული, ანტიდასავლური განცხადებები 20

არმენოფობია 26

ფოტო გარეკანზე: თამუნა ჩქარეული (RFE/RL)

საქართველოში საპარლამენტო არჩევნები 2024 წლის 26 ოქტომბერს გაიმართება. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აგრძელებს დაკვირვებას წინასაარჩევნო პერიოდში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების და საჯარო პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2024 წლის 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე პერიოდს.

25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ [ბმულზე](#).

ძირითადი მიგნებები

წინასაარჩევნოდ საქართველოს ხელისუფლება და სახელისუფლებო პარტია "ქართული ოცნება" აქტიურად მიმართავენ ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო, ანტიდემოკრატიულ და ანტიდასავლურ პროპაგანდას, რომელშიც ცენტრალურ საკითხად მართლმადიდებელი ეკლესიის, "ღირებულებების" და "ტრადიციების" დაცვაა წამოწეული.

- მმართველი პარტია წინასაარჩევნო ბანერებით და ვიდეორგოლებით მანიპულირებს რელიგიით, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ დაბომბილი უკრაინის კადრებით კი ამომრჩეველს მიანიშნებს, რომ ოპოზიციური სუბიექტების არჩევა მოიტანს ომსა და ეკლესიების ნგრევას.

- მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, მმართველი პარტია აგრძელებს ეკლესიისა და მართლმადიდებლობის თემებით სპეკულირებას და საარჩევნო დაპირებად აცხადებს კონსტიტუციაში "მართლმადიდებლობის განსაკუთრებული როლის" ასახვას.

- მმართველი პარტია ეკლესიისა და "სარწმუნოების დაცვის" არგუმენტით უფლებადამცველებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ ოპონენტებს და დასავლელ პარტნიორებს წარმოაჩენს როგორც დასავლურ

“აგენტურას” და იყენებს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა “ეკლესიასთან მებრძოლები”, “ეკლესიის მაგინებლები”, "ანტიეროვნული, ანტიეკლესიური, რადიკალი დაჯგუფებები” და სხვა.

- მმართველი პარტიის და ხელისუფლების წარმომადგენლები წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აქტიურად სტუმრობენ ეკლესია-მონასტრებს და საჯაროდ ჩნდებიან მართლმადიდებელ სასულიერო პირებთან ერთად.

- მიმდინარე წლის მხოლოდ სექტემბერ-ოქტომბერში, მთავრობამ მართლმადიდებელ ეკლესიას 11,062 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და შენობა-ნაგებობები საკუთრების, ხოლო 217,008 კვ.მ სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო მიწები 99 წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადასცა.

- საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებებში ჩანს სახელისუფლებო პარტიის და მისი პროპაგანდისტული, ანტიდემოკრატიული ინიციატივების მხარდაჭერა. მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების ნაწილი, ხელისუფლების მხარდაჭერასთან ერთად, ავრცელებენ სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და დასავლეთის საწინააღმდეგო განცხადებებს.

- წინასაარჩევნოდ ხელისუფლებასთან აფილირებულმა მედიამ და ჯგუფებმა, პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მიზნით, ქსენოფობია და არმენოფობია გააქტიურეს. არმენოფობიური კამპანია კოალიცია “ძლიერი საქართველოს” ლიდერის, მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ მიმდინარეობდა.

ქართული ოცნების პროპაგანდისტული საარჩევნო ბანერები

26 სექტემბერს თბილისში გამოჩნდა სახელისუფლებო პარტია “ქართული ოცნების" საარჩევნო ბანერები. ბანერებზე ერთ მხარეს გამოყენებულია უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებული ომის კადრები შავ-თეთრი ფონით და წარწერით “არა ომს”, სადაც ჩანს დანგრეული და განადგურებული შენობები, ხოლო მეორე მხარეს საქართველოს ქალაქებისა და ნაგებობების ფერადი კადრები, წარწერით “აირჩიე მშვიდობა”. ერთ-ერთ ბანერზე მარცხენა მხარეს გამოსახულია უკრაინის დონეცკის ოლქის სოფელ ბოგოროდიჩნეში რუსეთის მიერ დაბომბვის შედეგად განადგურებული ეკლესია,

მარჯვნივ კი თბილისის სამების ტაძარი. უკრაინის დანგრეული შენობების ფონზე გადახაზულია ძირითადი ოპოზიციური პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო ნომრები.

სახელისუფლებო პარტიამ საარჩევნო პროპაგანდისთვის რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ დაბომბილი უკრაინის კადრები გამოიყენა. მმართველი პარტია ამ შემთხვევაშიც მანიპულირებს რელიგიით და ამომრჩეველს მიანიშნებს, რომ გადახაზული ოპოზიციური სუბიექტების არჩევა მოიტანს ომსა და ეკლესიების ნგრევას. გარდა ბანერებისა, მმართველმა პარტიამ აღნიშნული კადრებით ასევე გაავრცელა ვიდეორგოლი, წარწერით "არა ომს! აირჩიე მშვიდობა! გააფერადე 41".

ფოტო: რადიო თავისუფლება

აღნიშნულ ბანერებს მწვავე კრიტიკა მოჰყვა როგორც საქართველოში, ასევე მეგობარი ქვეყნების მხრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**, **26 სექტემბერი:** "ასეთი სამარცხვინო, ასეთი ჩვენი კულტურის, ტრადიციების, ისტორიისა და რწმენის შეურაცხმყოფელი არაფერი მინახავს."

ევროკავშირის ელჩი საქართველოში **პაველ ჰერჩინსკი**, **4 ოქტომბერი:** "ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ ეს ბანერები არის აღმაშფოთებელი, სამარცხვინო და ამაზრზენი."

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო, **26 სექტემბერი:** "უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს და მიუღებლად მიიჩნევს პოლიტიკურ რეკლამაში რუსეთის უკრაინის წინააღმდეგ დაუნდობელი ომის საშინელი შედეგების, ათასობით

უდანაშაულო ადამიანის ტანჯვისა და სისხლის, ეკლესიებისა და კულტურული მემკვიდრეობის ნგრევის სურათების გამოყენებას. ქართველ ხალხს შეუძლია არ ეშინოდეს ახალი ომის, მანამ, სანამ უკრაინა წინააღმდეგობას უწევს რუსეთის აგრესიას. ამ წინააღმდეგობის საშინელი ფასი, ასევე საქართველოში მშვიდობის ფასია...”

9 ოქტომბერს, ქართულმა ოცნებამ წინასაარჩევნო კამპანიის კიდევ ერთი ვიდეორგოლი გამოაქვეყნა, წარწერით ***“ არა ომს! არა ანტიეკლესიურ პროპაგანდას! აირჩიე 41 - „ქართული ოცნება.“*** ვიდეორგოლში კონტექსტის გარეშე, მანიპულაციურად გამოყენებულია ოპოზიციური პარტიის ლიდერების და სამოქალაქო აქტივისტების სხვადასხვა დროს გაკეთებული განცხადებები, სადაც ისმის საქართველოს საპატრიარქოს, პატრიარქის და სასულიერო პირების კრიტიკა.

ხელისუფლების საარჩევნო დაპირებები კონსტიტუციაში ეკლესიის განსაკუთრებული როლის ასახვის შესახებ

მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, “ქართულმა ოცნებამ” გააგრძელა ეკლესიისა და მართლმადიდებლობის თემებით სპეკულირება. მათი თქმით, 26 ოქტომბრის არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღება ოთხი მიზნის მისაღწევად სჭირდებათ, ერთ-ერთი მიზანი კი კონსტიტუციაში “მართლმადიდებლობის, როგორც ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის და ისტორიასა და თანამედროვეობაში მისი განსაკუთრებული როლის ასახვაა.” მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რელიგიური უმცირესობები სისტემურად განიცდიან დისკრიმინაციას, პარტიის თავმჯდომარე, ბიძინა ივანიშვილი იმეორებს, რომ *“არცერთი რელიგიური კონფესიის უფლება მინიმალურადაც კი არ შეიზღუდება, რისი გარანტიც იყო, არის და იქნება „ქართული ოცნების“ ხელისუფლება.”*

> **ბიძინა ივანიშვილი, 28 სექტემბერი, წინასაარჩევნო ღონისძიება თელავში (კახეთი):** "კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, აუცილებლად დავაყენებთ დღის წესრიგში - მზად ვართ გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვის და გაძლიერების მიმართულებით და მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს კონსტიტუციაშიც ავსახოთ! თუმცა, ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გამოკვეთით,

> რომელიმე რელიგიურ კონფესიას რაიმე ტიპის პრობლემა შეიძლება შეექმნას; პირიქით, ჩვენი ქვეყანა სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხს ერთმანეთის რელიგიის უდიდესი პატივისცემა გვაქვს, სახელმწიფო კი თანაბრად ზრუნავს თითოეულ მოქალაქეზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა და აღმსარებლობისა. საქართველოში მოქმედი კონფესიების დაცვისა და თავისუფლების გარანტი, როგორც დღემდე, შემდგომშიც, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იქნება!"
>
> **ბიძინა ივანიშვილი, 10 ოქტომბერი, წინასაარჩევნო ღონისძიება ბათუმში (აჭარა):** "საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვის და გაძლიერების მიმართულებითაც, რაც კონსტიტუციის დონეზე აისახება! მაგრამ ამით, საქართველოში მოქმედ არცერთ რელიგიურ კონფესიას იოტისოდენა ჩრდილიც კი არ მიადგება! პირიქით, ჩვენ ტოლერანტობით განთქმული, მრავალფეროვანი ქვეყანა ვართ და ეს თქვენ არ გესწავლებათ, აჭარლებს – აჭარაში დიდი გამოცდილება, უამრავი მაგალითია დაგროვილი იმისა, თუ როგორ ახერხებენ მართლმადიდებელი და მუსლიმი ქართველები, დები და ძმები, ერთად, ჰარმონიულად და ურთიერთპატივისცემით აკეთონ საერთო საქმე - იზრუნონ ჩვენი ქვეყნის გაძლიერებასა და განვითარებაზე. თავის მხრივ, ჩვენი პოლიტიკური გუნდი კი იყო, არის და მომავალშიც იქნება გარანტი, რომ სახელმწიფო თანაბრად ზრუნავდა და იზრუნებს თითოეულ მოქალაქეზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა და აღმსარებლობისა."

ბიძინა ივანიშვილმა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის განსაკუთრებული როლის კონსტიტუციაში ასახვის დაპირება გაიმეორა 1 ოქტომბრის ღია წერილში, 15 ოქტომბერს ზუგდიდში და 19 ოქტომბერს ქუთაისში წინასაარჩევნო ღონისძიებებზე.

> **მამუკა მდინარაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, 15 ოქტომბერი:** "26 ოქტომბერს, ქართველი ხალხი, საკონსტიტუციო უმრავლესობით აგვირჩევს იმისათვის, რომ: [..]იმისათვის, რომ კონსტიტუციის დონეზე ავკრძალოთ ლგბტ პროპაგანდა და გადავარჩინოთ ქართველი ერი გადაგვარებისგან. იმისათვის, რომ კონსტიტუციით გავაძლიეროთ ეკლესიის და სარწმუნოების როლი."

ეკლესიის თემით სპეკულირება ხელისუფლების ანტიდასავლურ და ანტიოპოზიციურ გზავნილებში

წინასაარჩევნო პერიოდში, ქართული ოცნების ლიდერები ანტიდასავლური პროპაგანდისტული გზავნილებისთვის აქტიურად იყენებენ მართლმადიდებლობასა და ეკლესიის სახელს. ისინი ეკლესიისა და "სარწმუნოების დაცვის" სახელით უფლებადამცველებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ ოპონენტებს და დასავლელ პარტნიორებს წარმოაჩენენ როგორც დასავლურ "აგენტურას," "ეკლესიასთან მებრძოლებს", "ეკლესიის მაგინებლებს", "ანტიეროვნულ, ანტიეკლესიურ, რადიკალ დაჯგუფებებს" და "მტრულად განწყობილ ძალებს". მათ ნარატივში დასავლეთი "აგენტების საერთო პატრონად" არის ნაგულისხმევი, რომლის მიზანიც ქართული იდენტობის, ქრისტიანული რწმენისა და ტრადიციების წართმევაა.

> **ბიძინა ივანიშვილი, 28 სექტემბერი, წინასაარჩევნო ღონისძიება თელავში (კახეთი):** "თქვენი, კახელების ხმა კოსმოსში ისმის და დარწმუნებული ვარ, ხმამაღლა გაისმება 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზეც, სადაც ქუდზე - კაცი გამოხვალთ და უალტერნატივო არჩევანს გააკეთებთ: ომსა და მშვიდობას, ფსევდო-ლიბერალურ ღირებულებებსა და ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს შორის, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალსა და იმ მიუღებელ მოცემულობას შორის, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ."
>
> **შალვა პაპუაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე, 28 სექტემბერი:** "[...] ოპოზიცია სწორედ ამ გზას ადგას - ქვეყანას აცლის ეროვნულობას, ერს აცლის რწმენას და პიროვნებას აცლის იდენტობას. აღარ უნდა ვიცოდეთ რას ნიშნავს ქართველობა, რას ნიშნავს მართლმადიდებლობა, რას ნიშნავს კაცობა და ქალობა. ამიტომ შეგვიგინეს ერეკლე მეფე, ამიტომ წაგვიბილწეს ღვინო, ამიტომ შეურაცხყვეს ჩვენი ეკლესია. ეს არის მათი ევროპული გზა. უნდათ უღმერთო, უისტორიო, უპიროვნებო ადამიანთა ჯგუფად გვაქციონ, რომ მერე თავად გვითხრან სად ვილოცოთ და რა დავიფიცოთ."
>
> **კახა კალაძე, ქალაქ თბილისის მერი, 28 სექტემბერი:** "დღეს სასწორზე დევს ქვეყნის ბედი და სწორედ თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული მისი

ხვალინდელი დღე, ჩვენი ოჯახების სიმშვიდე და სტაბილურობა, ჩვენი რწმენის და ტრადიციების ხელშეუხებლობა…"

ბიძინა ივანიშვილი, 1 ოქტომბერი: "არა ფსევდო-ლიბერალურ ღირებულებებს, არამედ ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს; არა იმ კატეგორიულად მიუღებელ მოცემულობას, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ, არამედ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალს!"

ირაკლი ზარქუა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 4 ოქტომბერი: "არის გარკვეული გლობალური ჯგუფები, რომლებიც თავიანთ წესრიგს ახვევენ თავს ყველას.. მოვა მესიჯი - „ლგბტ პროპაგანდას მხარი უნდა დაუჭირო". ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენ უპირველეს ყოვლისა ჩვენი ადათ-წესებით, ჩვენი წარსულით, ჩვენი ეკლესიით, პატრიარქით ვამაყობთ და ჩვენ ამას გავაგრძელებთ მომავალშიც."

კახა კალაძე, ქალაქ თბილისის მერი, 9 ოქტომბერი: "… ყველაფერი უნდა იყოს ცხადი, რიგითმა მოქალაქემაც უნდა იცოდეს, ვინ აფინანსებს, მაგალითად, ეკლესიის შეურაცხყოფას, ვინ აფინანსებს პატრიარქის გინებას, ვინ აფინანსებს რევოლუციურ სცენარს და ა.შ."

მამუკა მდინარაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, 10 ოქტომბერი: "უნდა გავაუქმოთ თურმე კანონი გამჭვირვალობის შესახებ, რათა ვერასდროს გავიგოთ, ვინ დააფინანსებს ამ ქვეყანაში აგენტურას, ომის და ლგბტ პროპაგანდას, ეკლესიის სახელმწიფოს და მისი ინსტიტუტების, ასევე ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებს."

ირაკლი კობახიძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, 14 ოქტომბერი: "სამწუხაროდ, არიან ძალები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ებრძვიან ქრისტიანობას, სარწმუნოებას, ქრისტიანულ მორალურ დოგმებს. სამწუხაროდ, ეს ძალები იბრძვიან ქრისტიანობის წინააღმდეგ საქართველოშიც, თუმცა, როცა ერთად დგას ერი და ბერი, ქართველებს ვერავინ დაამარცხებს, ვერავინ დაამარცხებს სარწმუნოებას, ქრისტიანობას, მართლმადიდებლობას ჩვენს ქვეყანაში, ვერავინ დაამარცხებს რწმენას ჩვენს გულებში და ვერავინ დაამარცხებს ქრისტიანულ ფასეულობებს ჩვენს ცნობიერებაში. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს დედა ეკლესიას, კათოლიკოს-პატრიარქს, ყველა მღვდელმთავარს, თითოეულ სასულიერო პირს მათი ღვაწლისთვის და მოღვაწეობისთვის ჩვენი ქვეყნის სულიერად გასაძლიერებლად."

შალვა პაპუაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე, 15 ოქტომბერი: "ავაშენეთ იმიტომ, რომ პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში დავაბრუნეთ - რწმენა, ტრადიცია, სამშობლო, სუვერენიტეტი, ეროვნული ინტერესი - იდეალები, რომლებსაც ესწრაფოდა ჩვენი მშობლების თაობა. დავაბრუნეთ ყველა ის იდეალი, რის ჩანაცვლებასაც წლებია ცდილობენ. ცდილობენ, რომ სარწმუნოება ჩაგვინაცვლონ ფსევდო-იდეოლოგიებით, ტრადიცია - ტრენდით, სამშობლო - ტერიტორიით, სუვერენიტეტი - მორჩილებით, ეროვნული ინტერესი - სხვების მაამებლობით."

კახა კალაძე, ქალაქ თბილისის მერი, 17 ოქტომბერი: "[...] თუ ეს დამოკიდებულება შეიცვლება და არ იქნება დაფინანსებული - რევოლუცია, ხალხის დაპირისპირება, საპატრიარქოს, სარწმუნოების, ჩვენი პატრიარქის შეურაცხყოფა და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ ["გამჭვირვალობის" კანონის] კანონის აუცილებლობაც დღის წესრიგშიც არ იქნება."

მამუკა მდინარაძე, 18 ოქტომბერი: […]"საერთო პატრონიანი აგენტურა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება [იყოს] ეროვნული, ტრადიციულ და რეალურად ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული, მშვიდობის, ღირსების და უკეთესი ცხოვრების გარანტორი ძალა."

ბიძინა ივანიშვილი, 19 ოქტომბერი, წინასაარჩევნო ღონისძიება ქუთაისში (იმერეთი): "…ის ხალხი, ვინც ჩვენს ტრადიციებს ებრძვის, განსაკუთრებულ აგრესიას იჩენს ჩვენი თვითმყოფადობის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენის - მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ… არადა, ჩვენი ქვეყნის ევროპულობა, მნიშვნელოვანწილად, სწორედ იმან განსაზღვრა, რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა!"

მამუკა მდინარაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, 19 ოქტომბერი: "ამიერიდან, საქართველოს და ქართველი ხალხის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ აქ, საქართველოში. აქ, ამ ქვეყანაში, ყოველთვის შეგვიძლია დავიფიცოთ, რომ შევასრულებთ ანდერძად ქცეულ სიტყვებს, დიდი ილიას სიტყვებს, რომ ჩვენთვის უპირველესი მოსაფრთხილებელი იქნება: მამული, ენა, სარწმუნოება."

ბიძინა ივანიშვილი, 21 ოქტომბერი: "მათ პატრონები ჰყავთ და თავად არაფერს არ წყვეტენ, […]მოიგონეს რაღაც, ბოიკოტი გამოუცხადეს პარლამენტს და პარლამენტში არ შევიდა ოპოზიცია, იმიტომ, რომ იმდენად დიდია საზოგადოების რწმენა ქრისტიანობის, ჩვენი ტრადიციების, ჩვენი იდენტობის, რომ საზოგადოების შეეშინდათ და ვერ გაბედეს ამის წინააღმდეგ წასვლა."

23 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე სამი დღით ადრე, ქართულმა ოცნებამ თბილისში, თავისუფლების მოედანზე, საარჩევნო კამპანიის დასკვნითი ღონისძიება გამართა. ამჯერადაც, ქართული ოცნების ლიდერების მთავარი გზავნილები მართლმადიდებელი ეკლესიით სპეკულირებას, ადამიანის უფლებებთან და დემოკრატიულ პრინციპებთან დაპირისპირებას და ანტიდასავლურ განცხადებებს მოიცავდა.

> **ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნების საპატიო თავმჯდომარე:** "საქართველოს და „ქართული ოცნების" ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე უწევს სიარული, რომ უცხოელ, თუ ადგილობრივ არაკეთილმოსურნეთა და რადიკალთა მხრიდან მუდმივად რევოლუციების მოწყობისა და ქვეყნის არევის მცდელობის რეჟიმში, ქვეყანაში უწყვეტი მშვიდობა შევინარჩუნოთ. [...] საზოგადოების მხრიდან მონიჭებული ამ ხარისხის ლეგიტიმაცია, ფაქტობრივად, ჩანასახშივე ჩაახშობს რევოლუციისა და გადატრიალების გზით ძალაუფლების დაბრუნების, შემდეგ კი, საქართველოს ომში ჩართვის მიზნის მქონე კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობისა" და მათი უცხოელი პატრონების გეგმებს! [...] დღესაც, კიდევ ერთხელ, მოკლედ შეგახსენებთ [თუ რატომაა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ „ქართულმა ოცნებამ" საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს]:კონსტიტუციის დონეზე გავამყარებთ არასრულწლოვანთა ინტერესებისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის საკითხს; კონკრეტულ ნაბიჯებს გადავდგამთ მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვის და გაძლიერების მიმართულებითაც, რაც კონსტიტუციის დონეზე აისახება."

> **ირაკლი კობახიძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:** "ევროპას არ უხდება ის უსამართლობა, რომელსაც ევროკავშირის პოლიტიკოსებისა და ჩინოვნიკებისგან ასე ხშირად ვისმენთ; ევროპას არ უხდება ქრისტიანული დოგმების უარყოფა; ევროპას არ უხდება ელგებეტე პროპაგანდა; ევროპას არ უხდება გაუმჭვირვალობა და სხვისი სუვერენიტეტის უპატივცემულობა. 2030 წლისთვის ჩვენ ევროკავშირის წევრი ქვეყანა გავხდებით მხოლოდ ღირსებით, ქრისტიანობის, ეკლესიისა და მორალის პატივისცემით, დამოუკიდებლობითა და სუვერენიტეტით. მხოლოდ ღირსებით ევროპისკენ! [...] 26 ოქტომბრის არჩევნები არის გადამწყვეტი რეფერენდუმი. აქ სასწორის ორ მხარეს დევს ომი და მშვიდობა, ამორალური პროპაგანდა და ტრადიციული ფასეულობები [...] 26 ოქტომბერს უნდა დავდგეთ ყველა ერთად და ყველას ხმამაღლა უნდა

ვუთხრათ, რომ საქართველო ირჩევს მშვიდობას, ირჩევს ტრადიციულ ფასეულობებს და ჩვენი ულამაზესი ქვეყნის ნათელ და ევროპულ მომავალს".

კახა კალაძე, თბილისის მერი: "უამრავი ადამიანი შეიკრიბა დღეს აქ ერთი მიზეზით, რომ მთელ მსოფლიოს გააგონოს, რომ სამშობლოს, რწმენას, თავისუფლებას საქართველოს მოსახლეობა არ დათმობს არასდროს. ამ ქალაქს [თბილისს] სამშობლოს ერთგულება არასდროს შეშლია. ყოველთვის იდგა იქ, სადაც წყდებოდა ქვეყნისა და დედა ეკლესიის ბედი. სამშობლო და სარწმუნოება განუყოფელია ქართველი კაცისთვის. [...] ჩვენ გვინდა ევროპა, ჩვენ გვინდა ევროპული მომავალი, მაგრამ არა ისე, როგორც ამას გარედან მოგვიწოდებენ. [...] ევროპა და ევროპელობა ჩვენთვის ღირებულებებია, რომლებიც ქრისტიანულ საწყისებზეა დაფუძნებული…. აი ასეთი ევროპული მომავლისკენ ვისწრაფვით - ჩვენი ფასეულობებით, ჩვენი უნიკალურობით, ჩვენი რწმენითა და იდენტობით. [...] [ე.წ. საქართველოს მეგობრები] პირდაპირ ერევიან არჩევნებში, პირდაპირ ერევიან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გარე ძალები ვერ ეგუებიან, რომ საქართველომ უკრაინის ბედი არ გაიზიარა, არ შეუერთდა სანქციებს, გვიმტკიცებენ პირდაპირ, რომ თეთრი შავია, რომ გამჭვირვალობა ანტიდემოკრატიულია, ხოლო ლგბტ პროპაგანდა ჰუმანიზმის და ლიბერალიზმის გამოვლინებაა. გვეუბნებიან, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებად წოდებულ რადიკალებს უფლება აქვთ მიიღონ თანხები, გამოიყენონ ეს ყველაფერი ხალხის დაპირისპირებაში, რევოლუციების მოწყობაში, ექსტრემიზმის დაფინანსებაში და ჩვენ თურმე ქართველმა ხალხმა ამის შესახებ არაფერი არ უნდა ვიცოდეთ. მინდა მივმართო აქაურ რადიკალებს და მათ გარე წამქეზებლებს, რომ ასე ვერ მოხდება და არ მოხდება, რომ ეს უსამშობლო, გამყიდველი ადამიანები, პირდაპირ ვიტყვი, ვერ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში".

შალვა პაპუაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე: "[...] ლიბერალიზმის სახელით წაგვიბილწეს ღვინო, შეურაცხყვეს ხატები, გმირი მეფეები მოღალატეებად გამოგვიცხადეს. ფსევდორელიგია იკავებს მედიას, სკოლებს, წალეკვით ემუქრება ჩვენს იდენტობას და თვითმყოფადობას. გაცხადებული ბრძოლა სწორედ რელიგიასა და ფსევდორელიგიას შორის მიდის, და ეს ბრძოლა მოსაგებია ჩვენი გამარჯვებით. ჩვენ ვართ 17 მაისის ოჯახის სიწმინდის დღის საქართველო, ილიას საქართველო, სადაც მამული, ენა, სარწმუნოება ქმნის ქართული ცნობიერების ჩარჩოს. ამიტომ, ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ

საკონსტიტუციო უმრავლესობით, რათა ქართულ ცნობიერებასთან მებრძოლი ძალები საბოლოოდ დამარცხდნენ და განიარაღდნენ".

ირაკლი ღარიბაშვილი, "ქართული ოცნების თავმჯდომარე, ყოფილი პრემიერ-მინისტრი: "26 ოქტომბერს, არა უნდა ვუთხრათ აგენტურას, არა უნდა ვუთხრათ მათ მფარველებს, არა უნდა ვუთხრათ ფსევდოლიბერალურ ფაშიზმს და ლგბტ პროპაგანდას, არა უნდა ვუთხრათ უცხო ქვეყნების ჩარევას ჩვენს შიდა საქმეებში, არა უნდა ვუთხრათ უცხოელი პოლიტიკოსების თავხედურ ჩარევას ქართულ პოლიტიკაში და არჩევნებში."

მამუკა მდინარაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი: "ჩვენ ვიბრძვით არა ცალ ფეხზე მდგომი, არამედ ტრადიციული, ქართული, ეროვნული, ქრისტიანული ქვეყნისა და ასეთივე ქრისტიანული, ტრადიციული ევროპისათვის და არა ისეთი ევროპისათვის საიდანაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ მათი მითითებით უნდა ვიმოქმედოთ".

ხელისუფლებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის საკითხი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებაშიც გვხვდება. უწყების მიერ 16 ოქტომბერს გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ წინასაარჩევნოდ პოლიტიკურ წრეებთან დაკავშირებული ჯგუფები გეგმავენ ფალსიფიცირებული ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გავრცელებას:

"აღნიშნულ ყალბ ჩანაწერებში იქნება გამოყენებული საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ხმები და ვიდეო გამოსახულება. აღნიშნული ყალბი ინფორმაციის გავრცელების მიზანი არის ხელისუფლების შტოებს შორის დაპირისპირების გამოწვევა, აგრეთვე ხელისუფლებასა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის შუღლის ჩამოგდება და ხელისუფლებასა და დასავლელ პარტნიორებს შორის ურთიერთობის გაუარესება".

მართლმადიდებელი ეკლესია და სასულიერო პირები მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკლესიის თემებით პოპულისტური სპეკულირების პარალელურად, მმართველი პარტიის და ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად სტუმრობენ მართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტრებს და ჩნდებიან მართლმადიდებელ სასულიერო პირებთან ერთად.

27 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სიონის საკათედრო ტაძარში ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებულ საზეიმო წირვას დაესწრო. ტაძარში წირვა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პატრიარქის ტახტის მოსაყდრესთან, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოსთან და სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა.

ფოტო: საქართველოს მთავრობა

1-ელ ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე შალვა პაპუაშვილი, ახმეტის მუნიციპალიტეტში, წმინდა მოწამეთა ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების ხსენების დღის აღნიშვნას დაესწრო. აღნიშნულ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ქართული ოცნების პარტიის წევრები და ალავერდელი მიტროპოლიტი დავით მახარაძე.

ფოტო: შალვა პაპუაშვილი • Shalva Papuashvili ფეისბუქ გვერდი

5 ოქტომბერს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, თორნიკე რიჟვაძე და ქართული ოცნების პარტიის წევრი ანზორ ბოლქვაძე შუახევის მუნიციპალიტეტში, „შუახევობის“ სახალხო დღესასწაულზე იმყოფებოდნენ. აღნიშნულ შეხვედრას ასევე ესწრებოდა სხალთელი მთავარეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე.

ფოტო: თორნიკე რიჟვაძე • Tornike Rijvadze ფეისბუქ გვერდი

7 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, პარლამენტის წევრებთან - ირაკლი ქადაგიშვილთან და გურამ მაჭარაშვილთან ერთად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს „ჰერეთობა-2024“-ს დაესწრო. აღნიშნულ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მაღალი

იერარქიის სასულიერო პირები, მათ შორის ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე ჭუაძე.

ფოტო: საქართველოს პარლამენტი

9 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საპატრიარქოში იმყოფებოდა, სადაც იოანე ზოსიმეს ხელნაწერის საქართველოში ჩამობრძანებასთან დაკავშირებით, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ მიტროპოლიტმა შიომ, მღვდელმთავრებთან ერთად, პარაკლისი აღავლინა. მთავრობის მეთაური პარაკლისს მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად დაესწრო. იოანე ზოსიმეს ხელნაწერი, რომელიც Christie's აუქციონზე იყო გამოტანი, ბიძინა ივანიშვილმა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, 2024 წლის ივნისში შეიძინა. ხელისუფლების განცხადებით, ხელნაწერი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადაეცემა.

ფოტო: საქართველოს მთავრობა

14 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სვეტიცხოველში, სვეტიცხოვლობის დღესასწაულთან დაკავშირებით საზეიმო წირვას დაესწრო და შეკრებილ საზოგადოებას **ამბიონიდან მიმართა.** ღონისძიებას პრემიერ-მინისტრთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარე, თბილისის მერი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები ესწრებოდნენ. საზეიმო წირვაზე, ასევე, იმყოფებოდნენ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები.

ფოტო: *საქართველოს მთავრობა*

15 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე სვეტიცხოვლობის აღნიშვნის ვიდეოც გამოაქვეყნა.

17 ოქტომბერს ქართულმა ოცნებამ ვეტერანების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართა. ღონისძიებაზე ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა პატრიარქ ილია მეორის მილოცვის წერილი წაიკითხა.

ფოტო: მთავრობის ადმინისტრაცია

22 ოქტომბერს ყულევის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროექტის პრეზენტაციის ღონისძიება გაიმართა. პრეზენტაციას აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდა საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე.

ფოტო: საქართველოს მთავრობა

წინასაარჩევნოდ სახელმწიფოს მიერ საპატრიარქოსთვის გადაცემული ქონება

წინასაარჩევნო პერიოდში მართლმადიდებელი ეკლესიის თემის პოპულისტურ-პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოყენების პარალელურად, ხელისუფლების მხრიდან საპატრიარქოსთვის გადაცემული ქონების მასშტაბი გაიზარდა. საქართველოს მთავრობის განკარგულებების ანალიზი აჩვენებს, რომ საპატრიარქოსთვის სახელმწიფოს მიერ უძრავი ქონებისა თუ სხვა ფინანსური რესურსის გადაცემის მასშტაბის ზრდა მოახლოებულ არჩევნებსა და აქტუალურ პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდება. ამასთან, აღნიშნული მეთოდით ქართული ოცნება ცდილობს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს, სასულიერო პირების და მრევლის კეთილგანწყობა მოიპოვოს.

მიმდინარე წლის მხოლოდ სექტემბერ-ოქტომბერში, მთავრობამ მართლმადიდებელ ეკლესიას 11,062 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და შენობა-ნაგებობები საკუთრების, ხოლო 217,008 კვ.მ სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო მიწები 99 წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადასცა.

- საქართველოს მთავრობის 18 ოქტომბრის განკარგულებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო საქართველოს საპატრიარქოს 99 წლის ვადით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადასცემს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე 1,619 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას.

- საქართველოს მთავრობის 17 ოქტომბრის განკარგულებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო საპატრიარქოს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 ლარად საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ შუასურებში მდებარე 3,610 კვ/მ და 160 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს.

- საქართველოს მთავრობის 17 ოქტომბრის განკარგულებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო საპატრიარქოს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 ლარად საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 300 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური, N2, საჯარო სკოლა.

- საქართველოს მთავრობის 20 სექტემბრის განკარგულებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო საპატრიარქოს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 ლარად საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქოდალოში მდებარე 318 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე მდგომ შენობა-ნაგებობას.

- საქართველოს მთავრობის 13 სექტემბრის განკარგულებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო საპატრიარქოს 99 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადასცემს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყელქცეულში მდებარე 215,389 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთს.

- საქართველოს მთავრობის 13 სექტემბრის განკარგულებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო საპატრიარქოს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 ლარად საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ქალაქ

თბილისში, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქ. N41ა-ში მდებარე 1004 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე მდგომ შენობა-ნაგებობებს N1, N2, N3.

- საქართველოს მთავრობის 13 სექტემბრის განკარგულებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო საპატრიარქოს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 ლარად საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ კევლიანში მდებარე 5670 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს.

მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების პროპაგანდისტული, ანტიდასავლური განცხადებები

წინასაარჩევნო პერიოდში მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში აკეთებდა როგორც ხელისუფლების მხარდამჭერ, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებების და დასავლეთის საწინააღმდეგო განცხადებებს.

2024 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ხელი მოაწერა „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" კანონპროექტთა პაკეტს, მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მის ხელმოწერაზე უარი თქვა. ხელმოწერასთან ერთად შალვა პაპუაშვილმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც კიდევ ერთხელ გააკრიტიკა პრეზიდენტი ზურაბიშვილი და ოპოზიცია და აღნიშნა, რომ ჰომოფობიურ კანონს მხარს მართლმადიდებელი ეკლესია და სხვა რელიგიური კონფესიებიც უჭერენ. *"სიმბოლურია, რომ უსამშობლო და ღირებულებადაკარგული ოპოზიციის ნომინალური ლიდერი, რომლადაც იქცა მილევადი პრეზიდენტი, უარს ამბობს ხელი მოაწეროს კანონს, რომელიც იცავს ადამიანისათვის ყველაზე ღირებულს - ოჯახსა და ბავშვებს. [...] კარგად მესმის, რომ ამ კანონის ხელმოწერა კრიტიკას გამოიწვევს ზოგიერთი უცხოელი პარტნიორისაგან, მაგრამ ქართველებს არასდროს შეგვშინებია სხვათა შეფასებების, როდესაც ამას ჩვენი რწმენა, საღი აზრი და ქვეყნის ერთგულება გვავალდებულებდა და როდესაც ვხედავდით, რომ ცივილიზაციური დინებები არასწორ კალაპოტს ჭრიდნენ. [...]მისი მიღების პროცესში გვქონდა ასევე განხილვები*

რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებთან, სადაც როგორც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ისე სხვა რელიგიურმა კონფესიებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ამ კანონის სულისკვეთებას.”

4 ოქტომბერს, აღნიშნულ დისკრიმინაციული და ჰომოფობიური კანონპროექტის მიღებას განცხადებით გამოეხმაურა საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რითაც მხარი დაუჭირა კანონპროექტის მიღებას: “[...] ამასთანავე, LGBTQI პროპაგანდის გავრცელებამ მრავალჯერ შექმნა მნიშვნელოვანი სოციალური განხეთქილება საზოგადოებაში და დაძაბულობის ინსტრუმენტადაც კი იქცა მათ ხელში, ვინც პოლარიზაციის გაღრმავებისკენ არის მოწოდებული. ამ ტენდენციებიდან გამომდინარე, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ დადებით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ვიმედოვნებთ, ეს კანონი ნაყოფიერ შედეგებს გამოიღებს ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობისთვის, რადგან ის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ნაბიჯია ქართველი ერის თვითმყოფადობის განმსაზღვრელი ტრადიციული ღირებულებების დასაცავად.”

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის 22 ოქტომბრის განცხადებაში კი ჩანს როგორც სახელისუფლებო პარტიის, ისე მისი პროპაგანდისტული, ანტიდემოკრატიული ინიციატივების მხარდაჭერა. განცხადებაში ნახსენებია “ეროვნული და სარწმუნოებრივი ღირებულებების დაცვა,” “ხანგრძლივი მშვიდობა” და “ქრისტიანული და ოჯახური ტრადიციების გამყარება”, რაც სრულ თანხვედრაშია ქართული ოცნების საარჩევნო სლოგანებთან: “დღეს ჩვენი ქვეყანა უმნიშვნელოვანეს გზას გადის. ერთი მხრივ, ეროვნული და სარწმუნოებრივი ღირებულებების დაცვა და, მეორე მხრივ, ქვეყნის გამთლიანება, სუვერენიტეტისა და მშვიდობის შენარჩუნება, როგორც სახელმწიფო ინსტიტუციების, ასევე საზოგადოების მხრიდან უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. არაერთხელ გაგვიცხადებია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ჩვენი ერისა და ქვეყნის ყველაზე დიდი გამაერთიანებელი და მოამაგე, პოლიტიკურ მხარედ ვერ წარმოჩნდება, თუმცა ერთმნიშვნელოვნად იქნება მხარდამჭერი ისეთი არჩევანისა, რომელიც საქართველოს მოუტანს ხანგრძლივ მშვიდობას და საზოგადოებაში იმ ღირებულებების განმტკიცებას, რომლებიც ქრისტიანული და ოჯახური ტრადიციების გამყარებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად,

არჩევნების პერიოდში მოჭარბებული ემოციებისა და დაძაბულობის ფონზე, ვთხოვთ სასულიერო პირებს, თავიანთ გამონათქვამებსა და მოწოდებებში გაითვალისწინონ, რომ საზოგადოებრივი ერთობისა და სიმშვიდის შენარჩუნებისათვის მათ განსაკუთრებული როლი ენიჭებათ.”

<u>საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო მუჯირი</u>, 9 ოქტომბერი: „დღეს აღვნიშნავთ შესანიშნავ მოვლენას, ამ დიდებული ხელნაწერის, პალიმფსესტის საქართველოში ჩამოტანას და ვფიქრობთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობაზე, ისტორიულ სიძველეებსა და მათ მნიშვნელობაზე. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიული სიწმინდეების მოვლა-პატრონობას და დაცვას. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ამ დიდებული შენაძენით გაამდიდრა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა.”

<u>ჭიათურის და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელ დათუაშვილი</u>, 14 ოქტომბერი: "ეკლესია უჭერს მხარს ქვეყნის წინსვლას და განვითარებას მისი ტრადიციული ფასეულობების საფუძველზე.”

<u>სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე</u>, 1 ოქტომბერი: “[...]როდესაც ერზე ასეთი საშინელი განსაცდელი მოდის, რომლის გულისთვისაც სოდომ-გომორი დაიქცა და წარღვნა მოხდა, და ეს ცხადად მოდის ჩვენ ერზე. ვხედავთ ეს საშინელება იმ 15 პარტიის იდეოლოგიით და აგიტაცია პროპაგანდით და მაგათ ტელევიზიებით და ამასთან ერთად არანაკლები საშიშროება ომში ჩათრევის, რომ საქართველო ცეცხლის ალში გაახვიონ და შენ ამბობ ამ დროს, რომ შეიძლება თქვა ამას მიეცი ხმა იმას მიეცი. [...] კიდევ ვიმეორებ, მთელი პასუხისმგებლობით როგორც სასულიერო პირი, როგორც მავალებს წმინდა წერილი და ჩემი დედაეკლესია - ვამბობ, ვინც ხმას მიცემს იმ პარტიებს, რომლებმაც გეი პროპაგანდას სოლიდარობა გამოუცხადეს, რომელმაც სოლიდარობა გამოუცხადა ტრანსგენდერობას და ომში საქართველოს ჩართვას, ის იმათი ცოდვის ქვემდებარე იქნება და მათთან ერთად დაისჯებიან ისინი საუკუნო სასჯელით.”

<u>სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე</u>, 9 ოქტომბერი: „ყოველ წუთში გვემუქრებიან დასანქცირებით, მაგრამ ჩვენ გვმფარველობს დედა ღვთისმშობელი და აი ღვთისმშობელმა აჩუქა, ღმერთმა და დედაღვთისმშობელმა აჩუქა საქართველოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამას წინ აღუდგა. ხედავთ თქვენ ამას და ამ ხელისუფლებას ემუქრებიან ტერაქტებით, სანქცირებებით, უბედურებებით და ამით რო როგორ გაბედე შენ

აკრძალე სოდიმიზაცია საქართველოში და ელგებედე პროპაგანდაო. [...] ჩვენ გამოგვიჩინა ღმერთმა ხელისუფლება, რომელიც ამ სიწმინდეს და პატიოსნებას იცავს და ჩვენ ყველა გვერდში უნდა დავუდგეთ მას. ქუდზე კაცი უნდა გავიდეს და არჩევნებში ხმა უნდა მიცეს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, იმიტომ რომ მან გაბედა ის, რასაც ვერ ბედავენ. ვინ ვერ ბედავს - საფრანგეთის ხელისუფლება, ინგლისის ხელისუფლება, ამერიკის ხელისუფლება და ევროპის ხელისუფლებები. ისინი დაემონენ ანტიქრისტეს, ხედავთ თქვენ. [...] კიდევ ვიმეორებ, ვინც არ მისცემს ამ არჩევნებში ხელისუფლებას ხმას, რომელმაც ეს კანონით აკრძალა და გააცამტვერა, ის წყალს დაასხამს იმათ წისქვილზე, იმ პარტიების და იმ ძალების და იმ ბნელი ძალების, დასავლეთის წისქვილზე, რომლებსაც უნდათ საქართველოში გათახსირება, გარყვნილება და ანტიქრისტეს რელიგიის დამკვირდება“.

<u>სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე</u>, 20 ოქტომბერი: „დღეს ცდილობენ ოჯახის ინსტიტუტის მთლიანად განადგურებას, დღეს ცდილობენ განადგურებას ზნეობის, პატიოსნების, წესიერების. დღეს აქტიურ პროპაგანდას უწევენ ელგებედე ანუ სოდომიას, მამათმავლობას, ლეზბიანკობას. დღეს საშინელი პროპაგანდა მიდის ტრანსგენდერობის. [...] როგორც მოგეხსენებათ ტრანსგენდერობა ეს არის ყველაზე მძიმე ცოდვა, სოდომია ყველაზე მძიმე ცოდვაა, სოდომიაში ყველაზე მძიმე ცოდვაა ტრანსგენდერობა და დღეს უწევენ ამას ძალიან დიდ პროპაგანდას და უწევენ მასმედიის საშუალებით, უწევენ სოციალური ქსელების საშუალებით და იმ პარტიების საშუალებით, რომლებიც ფინანსირდებიან ასე ვთქვათ ამ ანტიქრისტიანული ქვეყნებიდან. ანტიქრისტეს ქვეყნებიდან.”

<u>დეკანოზი შალვა კეკელია</u>, 20 ოქტომბერი: „ წარმოიდგინეთ ქვეყანამ მიიღო ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონი, ქვეყანამ მიიღო ეს კანონი, და ის გეუბნება, რომ შენ თუ ამ კანონს მიიღებ შენ ჩემთან ვერ შემოხვალ, მე შენ არ მიგიღებ, მე შენ შეგიწყვიტავ დაფინანსებას, შენზე ამას ვიმოქმედებ. დღესაც ზუსტად იგივე პოლიტიკაა. [...] ნახე როგორაა საკითხი დაყენებული, როცა მე ამას ვლაპარაკობ და როცა არ მომწონს ეს ევროპული პოლიტიკა, ესეთი ჩარევა და ესეთი მონური დამოკიდებულება, წარმოიდგინე, გვიყურებს როგორც მდაბიო ქვეყანას, აფრიკულ ქვეყანას გვადარებენ წარმოიდგინე და ესე ერევიან და გვეუბნებიან, ამას გააკეთებ. ეს არ გვინდოდა არასოდეს, რომ ესე მოგვქცეოდა. მე არ მინდოდა რომ მოსკოვიდან ჩემზე მითითებები ყოფილიყო და ამიტომ გავთავისუფლდი მოსკოვიდან, არ მიეთითებინა ჩემზე როგორ უნდა

მეცხოვრა. დღეს იგივეს აკეთებენ ბრიუსელიდან, იგივე ვაშინგტონიდან, იგივე ამერიკიდან და ჩვენ თავისუფლება გვინდა, ჩვენ ხალხს თავისუფლება უნდა, ამისთვის იბრძოდა წმინდა ამბროსი ხელაია. [...] ერი მიდის ღვთის მადლით, აი როგორ მჯერა იცი, რომ ეს ქვეყანა იქნება სამაგალითო ქვეყანა, ეს ქვეყანა მიიღებს ისეთ კანონებს, რაც ღვთისთვის სათნო იქნება და დაწყებულია ეს პროცესი ჩვენს ქვეყანაში, დაიწყო ღმერთმა იგი, ამ მთავრობამ კი არა, ღმერთმა დააწყებინა ამ მთავრობას, სხვა გზა არ დაუტოვა, აი ეს გზა აარჩევინა, ღვთის გზა არჩევანია და ღვთის გზაზე მიდის უკვე ისეთ კანონებს იღებენ, რაც ქვეყნისთვის აუცილებელია".

დეკანოზი შალვა კეკელია, 24 ოქტომბერი: "მივმართავ მხოლოდ ეკლესიურ ადამიანებს, როგორ უნდა მისცეთ იმ პარტიებს ხმა, რომლებიც შენი მოძღვრის, შენი პატრიარქის და შენი დედა ეკლესიის მაგინებელია და მისთვის ეკლესია არაფერს არ წარმოადგენს. ჩვენ ყველა რა არჩევანსაც გავაკეთებთ ამაზე პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ. ღმერთმა შეგაძლებინოთ, რომ სწორი არჩევანი გააკეთოთ [...] არ მინდა ერმა მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც ღვთის წინააღმდეგ წავა. აქამდე ღვთის სიყვარულით და ერთგულებით მოვედით და მინდა, რომ ასე გაგრძელდეს მომავალშიც." - დეკანოზმა არჩევნებთან დაკავშირებით ვიდეო მიმართვა თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძრის ფეისბუქ გვერდზე გაავრცელა.

ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი სტეფანე კალაიჯიშვილი, 6 ოქტომბერი: "ახლა რომ ავიღოთ და დავდოთ ჩვენი თავი სასწორზე, იქიდან უცხოელები გვეუბნებიან რომ თქვენ წამოგვყევით ჩვენ და თითებს უქნევენ ხელისუფლებას, რომელმაც მიიღო კანონი ოჯახის დაცვასთან დაკავშირებით და სოდომის ცოდვის საწინააღმდეგოდ. თითებს უქნევენ, რომ თქვენ ეს კანონი რომ მიიღეთ ამის გამო დაისჯებით, ვერ შემოხვალთ ჩვენთან და ათას რაღაცას მიედ-მოედებიან. ეს ისეთი არჩევანია, თვალნათლივ ჩანს, ისინი თავისი კეთილდღეობა, რა არის ჯერ არავინ არ იცის, და მოლაპარაკებებში რომ შემოვიდნენ ამიტომ ჩვენ გეი მემორანდუმს ხელი უნდა მოვაწეროთ და მათთან ერთად ამ სოდომური ცოდვის პროპაგანდას გზა გავუხსნათ საქართველოში. ხოდა ეს არჩევანია არ არის აქ ბევრი საფიქრებელი. არის ერთი ძალა რომელიც მადლობა ღმერთს ხელისუფლებაშია დღეს და გვიცავს, ჩვენი ღირებულებების სადარაჯოზე დგას და ქრისტიანულ ღირებულებებს წინა პლანზე აყენებს. ვნატრობდით რამდენი ხანია, რომ ამაზე ხელისუფლებას ხმა აემაღლა და ჩვენი ღირებულებები დაეცვა. ახლა ჩვენ უნდა დავინახოთ რას აკეთებს უცხოეთიდან

მართული ძალა და მერე უყურეთ შემდეგი ეტაპი რა არის. თუ ვთქვათ მოხდა ისე, რომ დაგვაბრიყვეს, დაგვაშინეს, აპირებენ გადატრიალების მოწყობას. დღეს არ აქტიურობენ, იაქტიურებენ მაშინ როცა ეს არჩევნები ჩაივლის ან ჩატარების დროს და რომ მოვიდეს ვთქვათ დასავლეთიდან მართული ძალა, რომელიც ჩვენ გვეუბნება სოდომის ცოდვა უნდა დამკვიდრდეს საქართველოში, თუ არ გაიწვევთ იმ კანონს, რომელიც იცავს ჩვენს ბავშვებს და ჩვენს მომავალს, მაშინ თქვენთან გვექნება ბრძოლა და ისეთ ბრძოლას გვიცხადებენ, რომ არნახულს."

განსხვავებული, ევროინტეგრაციის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა <u>დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსმა ზენონ იარაჯულმა</u> (20 ოქტომბერი): "საქართველოსთვის თავდადებული ჩვენი წინაპრები საქართველოსთან ერთად ადრე ევროპის უსაფრთხოებისთვის იბრძოდნენ, ახლა ევროპა იბრძვის ჩვენთვის, ჩვენი წინაპრების შთამომავლებისთვის. დიახ, ჩვენთან ერთად ევროპა იბრძვის საქართველოსთვის, მისი კეთილდღეობისთვის, მშვიდობისთვის, უსაფრთხოებისა და საზღვრების დაცვისთვის. დღეს იმისთვის მიმდინარეობს ბრძოლა, რათა ევროპასა და დასავლეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები არ დაშორდნენ თავის სამშობლოს, ხოლო სამშობლო თავის შვილებს. [...] ახალგაზრდებო, თქვენ ის თაობა ხართ, რომელსაც არ ესაჭიროება შეხსენება, რომ სხვისი დამცირებით არავინ განდიდებულა. თქვენ პატივს სცემთ ადამიანის არსებობას, ადამიანის სიცოცხლეს! ასე, ერთმანეთის სიყვარულითა და პატივისცემით წინ გაუძღვით დაღლილ უფროს თაობებს ამქვეყნიურ მშვიდობის სახლში. [...]ევროპის კარი ღიაა და უძველესი კავკასიურ-ევროპული ცივილიზაციის შემოქმედი საქართველოდან მასთან შემტკიცების ქართულ აისს ელოდება. მივდივართ არჩევნებზე საქართველოს ევროპული მშვიდობისთვის, განაცხადისთვის, რომ საქართველო არის ხიდი ევროპისკენ თვით აზიისთვის."

არმენოფობია

წინასაარჩევნოდ სახელისუფლებო პროპაგანდისტული მედია და ხელისუფლებასთან დაკავშირებული "ხალხის ძალის" წარმომადგენლები არმენოფობიას მიმართავდნენ და სხვა ეთნოსისთვის მიკუთვნებით პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციას ცდილობდნენ.

არმენოფობიური კამპანია პროპაგანდისტულმა სახელისუფლებო მედია POSTV-მ კოალიცია "ძლიერი საქართველოს" ლიდერის, მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ 30 სექტემბერს დაიწყო, როცა აუდიოდიპფეიკის (ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ყალბი ვიდეო) გამოყენებით, გამოაქვეყნა ვიდეორგოლი „ხაზარაძის სომხური შალახო". 11 ოქტომბერს კი, POSTV-ის მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოში ჟურნალისტი მამუკა ხაზარაძეს ეკითხება, თუ რატომ მალავას საკუთარ სომხურ წარმომავლობას: ***"ვიცით, რომ სომხური წარმომავლობა გაქვთ და გრცხვენიათ ამის აღიარება?"***

13 ოქტომბერს POSTV-მ გაავრცელა „ქარდი" და სიუჟეტი, სადაც ტელეკომპანიის მტკიცებით, ხაზარიძის ერევნელი ნათესავი მასზე უარყოფით კონტექსტში ლაპარაკობს.

13 ოქტომბერს არმენოფობიური კომენტარი გააკეთა საპარლამენტო უმრავლესობის და "ხალხის ძალის" დეპუტატმა ზურაბ ქადაგიძემ: „ვერ წარმომიდგენია, ადამიანი საკუთარ წარმომავლობას მალავდეს. ეს მეტყველებს ცალკე პიროვნულ კომპლექსზე, ცალკე - პრობლემაზე. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თავის წარსულზე, ფესვებზე, ისტორიაზე, გენეტიკაზე უარს იტყვის, რა თქმა უნდა, ამით იმ კონკრეტულ ერს აყენებს შეურაცხყოფას".

საქართველოს სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოეხმაურა განცხადებებს, თუმცა არაფერი უთქვამს არმენოფობიურ კონტექსტსა და მის სიმძიმეზე. "მიუხედავად იმისა რომ მედიის მთავარი ფუნქცია კითხვების დასმაა, ის არ უნდა ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს საქართველოს მოქალაქე, რომელ ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნება. კონსტიტუციის და კანონის თანახმად ჩვენ ყველანი თანასწორები ვართ".

15 ოქტომბერს არმენოფობიურ განცხადებებს გამოეხმაურა თავად მამუკა ხაზარაძეც: "ივანიშვილის და მისი ხელქვეითების რუსული, "კაგებეშნიკური" პროპაგანდა ყოველგვარ ზღვარს გასცდა, რომელიც აი, უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს ჩემ წინააღმდეგ. ბოლო ცილისმწამებლური კამპანია კი არა

მარტო მე, არამედ ჩვენს მოძმე ხალხს, სომხებსაც შეეხო. მე ვუხდი მათ ბოდიშს "ოცნების" უნამუსო და უზნეო ქსენოფობიური გამოხტომების გამო. ჩემი რომელიმე წინაპარი სომეხი ან სხვა მოძმე ერის წარმომადგენელი რომ ყოფილიყო, ღიად და თამამად ვიტყოდი ამის შესახებ, ვისაც ესეთი ამბები აწუხებს, ან ეუხერხულება თავისი წარმომავლობა - ქსენოფობია!!!".

აღნიშნულზე ერთობლივი განცხადება გაავრცელეს სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის ცენტრმა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლებმა: "სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი და სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წევრი ხელმომწერი ორგანიზაციები კატეგორიულად ვგმობთ და სრულიად დაუშვებლად მივიჩნევთ საქართველოში წლების წინ დამკვიდრებული ამ მავნებლური, ქვეყნის ინტერესების საზიანო „ტრადიციის" განახლების მცდელობას, – ეთნიკური ნიშნის გამოყენებას პოლიტიკური დისკრედიტაციის, დისკრიმინაციისა და სტერეოტიპული წარმოდგენებით მანიპულაციისთვის".